

(სსმ 24.10.2006 N 145 მუხ. 2006)

რეგისტრირებულია  
საქართველოს იუსტიციის  
სამინისტროში  
სარეგისტრაციო კოდი  
300.180.000.22.024.009.474

**საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის  
ბრძანება N 1-1/1109  
2006 წლის 11 ოქტომბერი ქ. თბილისი**

**ტექნიკური რეგლამენტის "სახელმწიფო კონტროლს  
დაქვემდებარებული (დაკანონებული) გამომვის  
საშუალებებისადმი მოთხოვნების" დამტკიცების შესახებ**

"გამომვითა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე და "სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და აკრედიტაციის სფეროს მარეგულირებელი კანონების რეალიზაციის ღონისძიებათა სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 29 დეკემბრის N591 განკარგულების მე-10 პუნქტის შესასრულებლად:

1. დამტკიცდეს თანდართული ტექნიკური რეგლამენტი "სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული (დაკანონებული) გამომვის საშუალებებისადმი მოთხოვნები" (დანართი 1)
2. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

*ი. ჩოგოვაძე*

დანართი 1

**ტექნიკური რეგლამენტი  
სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული (დაკანონებული)  
გამომვის საშუალებებისადმი მოთხოვნები**

1. უსაფრთხოების მახასიათებლებს იმ დაკანონებული გამომვის საშუალებების მიმართ, რომელთა გამომვის შედეგები გამოიყენება (გავლენას ახდენს) ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრების და გარემოს დაცვისათვის, პროდუქციის კომერციული მიზნით დაფასოებისათვის, წარმოადგენს:
  - ა) დაკანონებული გამომვის საშუალებების ტიპის დამტკიცების ან აღიარების არსებობა გამომვის საშუალებების ტიპების სახელმწიფო რეესტრში;
  - ბ) დაკანონებული გამომვის საშუალებების დამოწმება;
  - გ) დაკანონებული გამომვის საშუალებების ექსპლუატაციის დადგენილი პირობების დაცვა;
  - დ) დაკანონებული გამომვის საშუალებების გამომვის შედეგების მიკვლევალობის უზრუნველყოფა მეტროლოგიური საქმიანობის ორგანიზებასა და განხორციელებაზე

უფლებამოსილი ორგანოს დონეზე.

2. დაკანონებული გამომვის საშუალებების უსაფრთხოების მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დაშვებული გამომვის საშუალებების ტიპების რეესტრში რეგისტრირებულ მახასიათებლებს.

3. პასუხისმგებლობა, დაკანონებული გამომვის საშუალებების უსაფრთხოების მახასიათებლების დაცვაზე, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ეკისრება გამომვის საშუალებების მფლობელს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს აღნიშნული მახასიათებლების დაცვა.

4. დაკანონებული გამომვის საშუალებების სახელმწიფო მეგროლოგიურ ზედამხედველობას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილი ორგანო.